

ლიდერობა და ორგანიზაციული კულტურა თანამედროვე მენეჯმენტში

ნინო ბიჭია

მზია მელაძე

დავით არუთინიანი

ჯგუფი №20

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი აბაშიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი: ბიჭია ნინო

ხელმოწერა

სახელი, გვარი: მელაძე მზია

ხელმოწერა

სახელი, გვარი: არუთინიანია დავითი

ხელმოწერა

თარიღი

აბსტრაქტი

თანამედროვე კომპანიებში არამატერიალური აქტივების ღირებულება საკმაოდ აქტუალური საკითხია, და მისი განსაზღვრა დღეს მსოფლიოს ახალი გამოწვევაა. ორგანიზაციული კულტურის განვითარება და დანერგვა ქმნის კომპანიას იმიჯს და შესაბამისად იზრდება მისი საბაზრო ღირებულება. რა ქმნის კულტურას? როგორ ახდენს ლიდერობა გავლენას ორგანიზაციულ კულტურაზე?

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია თანამედროვე ორგანიზაციებში ლიდერობისა და ორგანიზაციული კულტურის არსი, მათი მნიშვნელობა და დადგენილია მათი ურთიერთკავშირი.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გააცნოს მიზნობრივ აუდიტორიას, ლიდერობისა და ორგანიზაციული კულტურის ურთიერთკავშირი სამეცნიერო ნაშრომების ანალიზისა და ჩატარებული კვლევის საფუძველზე. საკვლევად არჩეულია საქართველოს ბაზარზე მოქმედი ორი კომპანია და შეფასებულია, რამდენად ახდენს ლიდერობა გავლენას ორგანიზაციულ კულტურაზე.

სამაგისტრო ნაშრომი იმიტომ არის აქტუალური, რომ საქართველოს კომპანიებს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის გაფართოების ფარგლებში კონკურენცია უწევთ განვითარებული ევროპული ქვეყნების კომპანიებთან და მათ უნდა უპასუხონ მსოფლიოს ყველა ტენდენციას, რათა გაზარდონ საკუთარი კონკურენტუნარიანობა. დღეს კი ახალი გამოწვევა კომპანიებისთვის კორპორატიული კულტურის განვითარებაა.

საკვლევ აუდიტორიად შეირჩა საქართველოში მოქმედი ორი კომპანიის შუა რგოლის თანამშრომლები და კვლევის მიზანს წარმოადგენს ლიდერობისა და ორგანიზაციული კულტურის ურთიერთკავშირის დადგენა.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ორივე კომპანია ცდილობს ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას, რომელშიც ძირეულ როლს სწორედ ლიდერობა ასრულებს.

კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე ჩამოყალიბდა რეკომენდაციები თითოეული კომპანიისათვის და სამაგისტრო ნაშრომის დასკვნაში დაფიქსირებულია ავტორების ძირითადი შეხედულებანი საკვლები საკითხის მიმართ.

Abstract

In modern companies, the value of the intangible assets is rather an urgent problem and its resolution is a global achievement. The introduction and the development of the organizational culture creates the image of the company and significantly increases its market value.

What creates culture? How does value influence the organizational culture? In the present master's work the modern organizational values the organizational culture essence and their importance and connections have been considered. The purpose of the present master's work is to introduce the targeted audience with the values and the interconnection of the values and the organizational culture scientific work analysis based on the research. Two operating companies in the Georgian market were selected for the research and it is estimated how the leadership is influenced by organizational culture. The present master's work is of current interest as the Georgian companies having deep and connections with the European Union in the frame of expansion of trade face competition with companies from developed European countries must comply with all global trends to improve their competitiveness.

Today the development of the corporate culture is a new challenge .Employees of average circle in two Georgian operating companies were selected for the study and the purpose of the study is to establish the relationship between the value and the organizational culture.

Studies have confirmed that both companies strive to establish healthy organizational culture that plays a major role. Based on the analysis of the research recommendations for each company were formed and in the conclusion of the master's work the main points of the views in studying this problem are noted.